განკარგულება:**g-81.8122215001**
თარიღი:**03/08/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №38

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი ცაგერის მუნიციპალიტეტის ქ. ცაგერში, ასლანიკაშვილის ქუჩაზე მდებარე 29 კვ.მ (ს/კ89.03.24.107) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზაციო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ე.გ. ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგრიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 34-ე მუხლის შესაბამისად და ს.ს.ი.პ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №003865222 საექსპერტო დასკვნის საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა** :

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით (ს/კ89.03.24.107) საერთო ფართობით-29კვ.მ მისამართი: ცაგერის მუნიციპალიტეტი, ქ.ცაგერი, ასლანიკაშვილის ქუჩა ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზაციო საფასური განისაზღვროს 4300 (ოთხიათას სამასი) ლარით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69) კანონმდებლობით დაგენილი წესით.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი